ტესტი ისტორიაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-35.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ვინ იყვნენ ნომარქები ძველ ეგვიპტეში?

ა) ატონის ტაძრის უზენაესი ქურუმები;

ბ) ფარაონის კარზე არსებული სასამართლოს წევრები;

გ) სამეურნეო და ადმინისტრაციული ერთეულის მმართველები;

დ) უშუალოდ ფარაონის დაქვემდებარებაში მყოფი მწიგნობრები.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული მარათონის ბრძოლის შესახებ?

ა) მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ათენელებმა სპარსელები დაამარცხეს;

ბ) ახლადშექმნილი ფლოტის წყალობით კორინთოელებმა გამარჯვება მოიპოვეს;

გ) მრავალრიცხოვანმა სპარსულმა არმიამ დაამარცხა სპარტელთა კავალერია;

დ) უთანასწორო ბრძოლაში მილეთელები ღალატის გამო დამარცხდნენ.

(1) 3. რომელი მოვლენაა დაკავშირებული დარიოს I-ის სახელთან?

ა) თორმეტი დაფის კანონების შექმნა;

ბ) თებეს დაპყრობა;

გ) სამეფო გზის მშენებლობა;

დ) დედაქალაქის გადატანა ქტესიფონში.

(1) **4. რომელი ინფორმაციაა მართებული ელინისტურ ხანაში ჩამოყალიბებული სელევკიდების სამეფოს შესახებ?**

ა) ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ იმპერიას გამოეყო პროვინცია ჩრდილოეთ აფრიკაში;

ბ) დარიოს III-ის სატრაპმა ტახტიდან ჩამოაგდო ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე და თავად გამეფდა;

გ) ალექსანდრე მაკედონელმა დიადოქოსებს შორის ანდერძით გაანაწილა თავისი იმპერიის რეგიონები;

დ) ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთმა მხედართმთავარმა დაიკავა ტერიტორია, რომელიც მოიცავდა სირიას, შუამდინარეთსა და მცირე აზიის ნაწილს.

(1) **5. რომელი ინფორმაციაა მართებული პირველი პუნიკური ომის შედეგების შესახებ?**

ა) კართაგენმა დათმო პირენეს ნახევარკუნძული და კუნძულები ადრიატიკის ზღვაში;

ბ) რომმა თავის პროვინციად გამოაცხადა ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო და კართაგენს აუკრძალა საზღვაო ვაჭრობა;

გ) რომმა დაიკავა ჩრდილოეთ აფრიკის მთელი სანაპირო ზოლი და მოიპოვა ნაოსნობის უფლება ეგეოსის ზღვაში;

დ) კართაგენმა დაკარგა კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და დათანხმდა კომპენსაციის გადახდას.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული იულიუს კეისრის შესახებ?

ა) დალაშქრა ბრიტანეთი;

ბ) გამოცხადდა რომის პირველ იმპერატორად;

გ) გაიმარჯვა ზამას ბრძოლაში;

დ) პირველს მიეცა ტრიუმფის ჩატარების უფლება.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული ეგრისში VI საუკუნეში არსებული ვითარების შესახებ?

ა) ბიზანტიელი დომესტიკოსის ბრძანებით აიგო თავდაცვითი კედელი მდინარე ფაზისზე;

ბ) ხანგრძლივი ომის შედეგად ქვეყანა პართიის გავლენის სფეროში მოექცა;

გ) ბიზანტიასთან დამაკავშირებელ სავაჭრო გზაზე ციხე-სიმაგრე პეტრა აშენდა;

დ) ირანმა ხელი შეუწყო ბიზანტიაში დაგმობილი ნესტორიანელობის დამკვიდრებას.

(1) **8. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ შეუშალა ხელი არაბებს აეღოთ კონსტანტინოპოლი VII საუკუნეში?**

ა) არბალეტის ფართოდ გამოყენებამ;

ბ) მადიართა კავალერიის თავდასხმამ არაბთა ბანაკზე;

გ) ფრანკების ფლოტის დახმარებამ;

დ) ბერძნული ცეცხლის გამოყენებამ საზღვაო ბრძოლებში.

(1) 9. რომელი მონარქის შესახებ გვაწვდის ცნობებს ეინჰარდი?

ა) ალფრედ დიდის;

ბ) ოტო I-ის;

გ) კარლოს დიდის;

დ) ჰაროლდ I-ის.

(1) **10. რას წარმოადგენდა ვორმსის კონკორდატი?**

ა) იმპერატორისა და პაპის შეთანხმებას;

ბ) ინგლისსა და საფრანგეთს შორის ზავს;

გ) ლუთერანებისა და კალვინისტების უნიას;

დ) სამივე წოდებას შორის დადებულ ხელშეკრულებას.

(1) **11. რა იყო მანასკერტის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი?**

ა) ბიზანტიამ დაკარგა აღმოსავლეთის პროვინციები;

ბ) ყივჩაღებმა გაიმარჯვეს დიდი მსხვერპლის ფასად;

გ) ომაიანთა სახალიფო ტერიტორიულად გაფართოვდა;

დ) პალესტინის ტერიტორიაზე შეიქმნა ქრისტიანული სახელმწიფოები.

(1) 12. რას შეუწყო ხელი დასავლეთ ევროპაში ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ XI-XII საუკუნეებში?

ა) რეფორმაციის დაწყებას;

ბ) ვასალიტეტის ჩამოყალიბებას;

გ) სამონასტრო ცხოვრების დაწყებას;

დ) უნივერსიტეტების დაარსებას.

(1) 13. რა იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ფილიპე II ოგიუსტმა ჯვაროსნული ლაშქრობა შეწყვიტა?

ა) გენერალური შტატების გადაწყვეტილება;

ბ) საფრანგეთში დაწყებული გლეხთა ომი;

გ) ეგვიპტის სულთანთან დაზავება;

დ) ინგლისის მეფესთან დაპირისპირება.

(1) **14. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ლაშა-გიორგის მეფობისას?**

ა) ხორეზმელებმა პირველად გადაწვეს თბილისი;

ბ) მონღოლებმა პირველად ილაშქრეს საქართველოში;

გ) ქართველებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობაში;

დ) სამეფო კარმა პირველად მოიწვია წარმომადგენლობითი ორგანო, დარბაზი.

(1) **15. მონღოლებმა მდინარე ტიგროსის ნაპირზე მდებარე რომელი ქალაქი აიღეს, რომელიც ამავე დროს ხალიფას რეზიდენცია იყო?**

ა) ალეპო;

ბ) ბაღდადი;

გ) დამასკო;

დ) ბეირუთი.

(1) **16. რომელი მონარქის მმართველობისას შეიკრიბა პირველი პარლამენტი ინგლისში?**

ა) უილიამ დამპყრობლის;

ბ) ჩარლზ II-ის;

გ) ჰენრი III-ის;

დ) ჯეიმს I-ის.

(1) **17. ვინ იყვნენ იანიჩარები?**

ა) გადასახადის ამკრეფები მონღოლთა საყაენოში;

ბ) პროფესიონალი სამხედროები ოსმალეთის იმპერიაში;

გ) სახელმწიფო აპარატის მოხელეები ყიზილბაშთა ირანში;

დ) ქრისტიანები, რომლებმაც ისლამი მიიღეს სელჩუკთა სახელმწიფოში.

(1) **18. ვის ებრძოდნენ რვა საუკუნის განმავლობაში პირენეს ნახევარკუნძულზე არსებული ქრისტიანული სახელმწიფოები?**

ა) არაბებს;

ბ) ოსმალებს;

გ) ზღვის ხალხებს;

დ) კილიკიელ მეკობრეებს.

(1) 19. ვინ ხელმძღვანელობდა ევროპელთა საზღვაო ექსპედიციას, რომელიც პირველი მიადგა ინდოეთს?

ა) ვასკო და გამა;

ბ) პედრუ კაბრალი;

გ) ჟან ფრანსუა ლაპერუზი;

დ) ლუი ანტუან დე ბუგენვილი.

(1) 20. ვის წინააღმდეგ საბრძოლველად დაუკავშირდნენ ერთმანეთს საფრანგეთი და ოსმალეთი XVI საუკუნეში?

ა) ლუქსემბურგელების;

ბ) ჰაბსბურგების;

გ) პლანტაგენეტების;

დ) ანჟუელების.

(1) 21. ვინ მოღვაწეობდა ინგლისში ელისაბედ I-ის მმართველობის პერიოდში?

ა) ღვთისმეტყველი და მთარგმნელი ჯონ უიკლიფი;

ბ) დრამატურგი და პოეტი უილიამ შექსპირი;

გ) ფიზიკოსი და ასტრონომი ისააკ ნიუტონი;

დ) ფილოსოფოსი და პედაგოგი ჯონ ლოკი.

(1) **22. რომელი ფაქტია მართებული სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის შესახებ?**

ა) ქართველთა არაერთი აჯანყების შემდეგ ირანელებმა ტაო-კლარჯეთის დაპყრობაზე ხელი აიღეს;

ბ) შაჰ-თამაზმა სამჯერ დალაშქრა იმერეთი, თუმცა ირანელებმა ამ სამეფოს დამორჩილება მაინც ვერ შეძლეს;

გ) მარტყოფის ბრძოლაში ქართველებმა ირანელთა ჯარი სასტიკად დაამარცხეს;

დ) თეიმურაზ I-მა ერთწლიანი ალყის შემდეგ თბილისი აიღო და ქალაქიდან ირანელთა გარნიზონი განდევნა.

(1) 23. რომელი სახელმწიფო მონაწილეობდა „ოცდაათწლიან ომში“ პროტესტანტთა მხარეს?

ა) პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობა;

ბ) გენუის რესპუბლიკა;

გ) ესპანეთის იმპერია;

დ) შვედეთის სამეფო.

(1) **24. რომელი ფაქტია მართებული საფრანგეთში ლუი XIV-ის მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენის შესახებ?**

ა) გაუქმდა ნანტის ედიქტი;

ბ) შემცირდა მეფის უფლებები;

გ) დასრულდა შვიდწლიანი ომი;

დ) დაიწყო ვანდეაში იაკობინელთა მოძრაობა.

(1) **25. რომელი მსჯელობაა მართებული XVI-XVII საუკუნეებში მიმდინარე ნიდერლანდების რევოლუციის შედეგების შესახებ?**

ა) ნიდერლანდების ჩრდილოეთ პროვინციებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, თუმცა სამხრეთის პროვინციების დიდი ნაწილი ესპანელთა ხელში დარჩა;

ბ) რევოლუციის ჩახშობის მიუხედავად, ესპანეთის მეფე იძულებული გახდა ნიდერლანდელი პროტესტანტებისათვის პრივილეგიები მიენიჭებინა;

გ) ესპანეთის მეფე დათანხმდა ნიდერლანდელთა დამოუკიდებლობის აღიარებას, სანაცვლოდ კი ნიდერლანდების ტახტი მისმა უმცროსმა ვაჟმა დაიკავა;

დ) ომი ესპანელთა დამარცხებით დასრულდა, რაშიც გადამწყვეტი როლი საღვთო რომის იმპერატორის მიერ ნიდერლანდებისათვის გაწეულმა სამხედრო დახმარებამ შეასრულა.

(1) **26. რუსეთის რომელ მმართველს სურდა ქართული ლაშქრის გამოყენება ირანის წინააღმდეგ დაგეგმილ ლაშქრობაში და საამისოდ ქართლის მეფესაც დაუკავშირდა?**

ა) ივანე IV-ს;

ბ) ვასილი III-ს;

გ) ალექსანდრე II-ს;

დ) პეტრე I-ს.

(1) **27. რომელი მსჯელობაა მართებული საფრანგეთში XVIII საუკუნეში მომხდარი რევოლუციის შესახებ?**

ა) ნაპოლეონ ბონაპარტემ სამხედრო ძალის გამოყენებით ჟირონდისტთა მთავრობა დაამხო და თავი საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადა;

ბ) იაკობინელთა დიქტატურის დასრულებისა და ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ძალაუფლება დირექტორიის ხელში გადავიდა;

გ) ბასტილიის ციხის აღებისა და მეფის ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, რომელსაც სათავეში მარკიზი ლაფაიეტი ჩაუდგა;

დ) საფრანგეთში რესპუბლიკური წყობის დამყარებას ორი, ვიგებისა და ტორების პარტიის ჩამოყალიბება მოჰყვა, რომლებიც ძალაუფლებას მონაცვლეობით იღებდნენ ხელში.

(1) **28. სხვა მიზეზებთან ერთად, რუსეთის რა ქმედებამ გამოიწვია ნაპოლეონ I-ის ლაშქრობა ამ სახელმწიფოში?**

ა) კონტინენტური ბლოკადის პირობების დარღვევამ;

ბ) საფრანგეთის მიერ დაპყრობილ გერმანულ მიწებზე შეჭრამ;

გ) ესპანეთთან ერთად საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებამ;

დ) სასარგებლო წიაღისეულის მიწოდების შეწყვეტამ.

(1) **29. რისი გამოგონება *<u>არ უკავშირდება</u>* ინდუსტრიულ რევოლუციას?**

ა) რკინიგზის;

ბ) ტელეგრაფის;

გ) დენთის;

დ) ორთქლის ძრავის.

(1) 30. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდნენ პრუსია და ავსტრია შლეზვიგისა და ჰოლშტაინის გამო?

ა) ბელგიის;

ბ) დანიის;

გ) პოლონეთის;

დ) ნიდერლანდების.

(1) 31. რომელი სახელმწიფოს არმიის ნაწილები იცავდნენ რომის პაპის სამფლობელოს იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს?

ა) პრუსიის;

ბ) ესპანეთის;

გ) საფრანგეთის;

დ) დიდი ბრიტანეთის.

(1) **32. რომელი მსჯელობაა მართებული 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეფასების შესახებ?**

ა) დაიწყო დიდი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, მათ შორის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა;

ბ) უარყოფითად აისახა ევროპის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით;

გ) კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციამ გაუადვილა ბოლშევიკებს საქართველოს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა;

დ) დენიკინის ჯარი აფხაზეთის მხრიდან თავს დაესხა საქართველოს, რადგან ეშინოდა, რომ ქართული ხელისუფლება ბოლშევიკებს დაეხმარებოდა.

(1) **33. რომელ სახელმწიფოს შესთავაზეს მანდატი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიმდინარეობის დროს?**

ა) გერმანიას;

ბ) იტალიას;

გ) ესპანეთს;

დ) ავსტრიას.

(1) **34. რომელი ინფორმაციაა მართებული საბჭოთა კავშირში განხორციელებული კოლექტივიზაციის შესახებ?**

ა) პროცესი გულისხმობდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენებას, შედეგად გაჩნდა სამუშაო ადგილები და განვითარდა მრეწველობა;

ბ) შეეხო სოფლის მეურნეობას, გლეხები ვალდებული იყვნენ საკუთარი მიწის დიდი ნაწილი და საქონელი სახელმწიფოსთვის გადაეცათ;

გ) ეს იყო მმართველობის სფეროში განხორციელებული რეფორმა, რომელიც გულისხმობდა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას;

დ) წარმოადგენდა ინტერნაციონალური საზოგადოების ფორმირების პოლიტიკას, რა დროსაც ძველი არისტოკრატიის წარმომადგენლების უფლებები იზღუდებოდა.

(1) **35. რომელი ინფორმაციაა მართებული 1978 წლის 14 აპრილს თბილისში გამართული მანიფესტაციის მიზეზის შესახებ?**

ა) საბჭოთა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანად შეამცირა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება;

ბ) სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის რუსული ენის ცოდნა სავალდებულო ხდებოდა;

გ) უმაღლეს სასწავლებლებს დაევალათ სტუდენტებისათვის რამდენიმე საგანი რუსულ ენაზე წაეკითხათ;

დ) საქართველოს ახალ კონსტიტუციაში აღარ უნდა ყოფილიყო მუხლი, რომლითაც ქართული ენა სახელმწიფო ენად ცხადდებოდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 36.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

(1) **36.1. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოებაა ასახული რუკაზე?**

ა) დასავლეთ რომის იმპერიის;

ბ) საღვთო რომის იმპერიის;

გ) ბიზანტიის იმპერიის;

დ) ფრანკთა სამეფოს.

(1) **36.2. რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) წითლად აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა კუტრიგურების თავდასხმა მოიგერია;

ბ) თიურინგებმა ყვითლად აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორია დაიპყრეს;

გ) ფრანკთა სამეფოს ფლოტი ირლანდიას დაესხა თავს;

დ) გეპიდებმა ქალაქ რავენას ალყა შემოარტყეს.

(1) **36.3. რუკაზე არსებული რომელი ინფორმაცია ადასტურებს ვესტგოთების სამეფოს დასუსტებას რუკაზე ასახულ პერიოდში?**

ა) ტოლეტუმთან გამართულ ბრძოლაში დამარცხება;

ბ) ემერიტასა და კეისარაუგუსტაზე სვებების თავდასხმა;

გ) გადესსა და კართაგო სპარტარიაზე კონტროლის დაკარგვა;

დ) ბარსინოზე წითლად აღნიშნული სახელმწიფოს ფლოტის შეტევა.

(1) **36.4. რა ეწოდებოდა მწვანე ფერით აღნიშნულ სამეფოს, რომელიც, რუკის მიხედვით, წითლად აღნიშნული სახელმწიფოს ჯარმა დაიპყრო?**

ა) ჰუნების;

ბ) ვანდალების;

გ) ბურგუნდების;

დ) ლანგობარდების.

(1) **36.5. რუკის მიხედვით, რომელი ქალაქის მახლობლად გამართულ ბრძოლაში დამარცხდა ოსტგოთების სამეფოს ჯარი?**

ა) ბრუნდისიუმის;

ბ) სირაკუზის;

გ) გენუის;

დ) რომის.

(1) 36.6. სადაური წარმომავლობის ტომების ბრიტანეთში გადასახლების პროცესია ასახული რუკაზე?

ა) ფინური;

ბ) კელტური;

გ) რომანული;

დ) გერმანული.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 37. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

37.1. კითხვაზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი ან შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

37.2. და 37.3. დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

37.4. დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება 37.

სეფიანთა ირანის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი იყო შაჰ აბას I-ის მმართველობა.

კითხვები:

(1) **37.1.** დაასახელეთ შაჰ აბას I-ის მმართველობის ერთი კონკრეტული შედეგი, გარდა პოლიტიკურისა.

(1) **37.2.** დაასახელეთ კონკრეტული სახელმწიფო ან პოლიტიკური ერთეული, რომლისთვისაც შაჰ აბას I-ის მმართველობა დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **37.3.** დაასახელეთ კონკრეტული ქრისტიანული სახელმწიფო ან პოლიტიკური ერთეული, რომლისთვისაც შაჰ აბას I-ის მმართველობა უარყოფითი შედეგის მომტანი შეიძლება ყოფილიყო. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი თქვენი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **37.4.** დაასახელეთ მმართველი XVI საუკუნეში არსებული სხვა მუსლიმური სახელმწიფოების ისტორიიდან, რომლის მოღვაწეობა შაჰ აბას I-ის მმართველობის ანალოგიად შეიძლება ჩაითვალოს. მოიყვანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასადასტურებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ნაწყვეტი პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას მოგონებიდან

სამშობლო საფრთხეშია. პარტიები ივიწყებენ პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობას და ქმნიან ერთიან ლიგას, რომლის მიზანიცაა წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება.

საქართველოში შეთქმულები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდნენ. მეც სამშობლოს გადასარჩენად სხვა გზას ვერ ვხედავდი და აჯანყების მომხრე ვიყავი. სანამ 1924 წლის აჯანყება იფეთქებდა, ამბოხებები დაიწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

აჯანყების გეგმა ასეთი იყო, თბილისის აღება. კოჯრის მხრიდან მომავალ აჯანყებულებს პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. მე საპირისპირო მხრიდან უნდა დავძრულიყავი და ჩოლოყაშვილის რაზმს თბილისთან შევუერთდებოდი. მესამე, დუშეთის მიმართულებიდან პარტიზანებს წინ ლაშქარაშვილი უძღოდა.

ეს გეგმა მცდარი და მიუღებელი იყო. აჯანყების ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს თბილისის პოლიტიკური და სულიერი მნიშვნელობა. პირველი დარტყმა უშუალოდ თბილისში უნდა განხორციელებულიყო. დედაქალაქის ხელში აღებით წითელი ჯარი ცენტრალურ მმართველობას დაკარგავდა. ჩვენი გეგმის წყალობით კი მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. მეამბოხეთა მთელ ქვეყანაში გაფანტულმა ძალებმა ვერ შეძლეს დროულად მოეყარათ თავი.

დამარცხების მეორე მიზეზი ჭიათურის აჯანყებულთა ნაადრევი გამოსვლა გახლდათ. მათ მოქმედება დათქმულზე 24 საათით ადრე დაიწყეს.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ნაადრევმა გამოსვლამ საბჭოთა მმართველობას საშუალება მისცა აჯანყების ჩასახშობად ენერგიული ზომების მიღება მოესწრო. მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. ბოლშევიკებმა თბილისის გამაგრება დაიწყეს. ქალაქში ტანკები და ჯავშანავტომობილები გამოჩნდა. 30 ათასიანმა ჯარმა თბილისის დაცვის ბრძანება მიიღო.

აჯანყებულთა რიგებში მუშები და გლეხები იბრძოდნენ. ჩემი შტაბი პატარძეულში იყო. საღამოს 7 საათისათვის თორმეტ სოფელში ჩვენი ძალაუფლება იყო. გეგმის პირველი ეტაპი დაუბრკოლებლად სრულდებოდა. ახლა თბილისში შესვლა უნდა გვეცადა. მტრის ბანაკს ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით. პროჟექტორების შუქმა გაგვცა, ცეცხლი გაგვიხსნეს. ჩვენც სროლა ავტეხეთ. ამ დროს მაცნობეს, რომ კავალერიის სამი პოლკი წითელი ჯარის დასახმარებლად მოეშურებოდა. ტყვია-წამალი გვითავდებოდა. იძულებული გავხდი უკანდახევა მებრძანებინა. ჩემთვის მონდობილი დავალება, განმეიარაღებინა ვაზიანის წითელი სამხედრო ბაზა, ვერ შევასრულე.

თბილისთან დამარცხების შემდეგ ბრძოლა დაიქსაქსა. აქა-იქ გმირულ შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი. რეგიონებში ცალკეული ბრძოლები წარმატებითაც სრულდებოდა, მაგრამ აჯანყებულთა ბრძოლა საბოლოოდ მარცხისთვის იყო განწირული.

ცარიზმი ყოველთვის ცდილობდა, სიძულვილი გაეღვივებინა კავკასიის ხალხთა შორის, გაეთიშა ისინი. საბჭოთა ხელისუფლებაც ცარიზმის ამ პოლიტიკას აგრძელებდა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ბოლშევიზმის აგენტთა დანაშაულობანი ენით აუწერელი სისასტიკეა. მოსახლეობის შემდეგ რისხვა თავს სამღვდელოებას დაატყდა.

სამი წლის განმავლობაში ვემალებოდი მდევარს. არ მინდოდა ჩემს ოჯახს გადაკიდებოდნენ, ამიტომ მათ აღარ ვნახულობდი. მაინც ვერ შევძელი. მამაჩემიც ამ ამბავმა იმსხვერპლა, საკუთარი თვალით იხილა, ჩემი უმცროსი ძმა დასახვრეტად როგორ წაიყვანეს და ამ სურათს მისმა გულმა ვეღარ გაუძლო.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

მოსკოვი ცრუობს. იგი ავანტურას უწოდებს საქართველოს გმირულ აჯანყებას. მთელმა საქართველომ იცოდა, რომ აჯანყება ავანტიურა კი არ იყო, არამედ ერთსულ და ერთხორც შეკრული ერის შეგნებული, ორგანიზებული და შეიარაღებული ბრძოლა. თვალწინ მიდგას გლეხი ქალის სახე და მახსენდება მისი სიტყვები, ჩემს მკვდრებს არ ვგლოვობ. არა, ისინი ვაჟკაცებად დაიღუპნენ. მხოლოდ ერთი რამ მადარდებს, შეძლებს კი ჩემი ნაბოლარა მამისა და ძმების შური იძიოს?

ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“ 2015 № 3 (6)

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **38.1.** დოკუმენტის მიხედვით, რამდენი მიმართულებიდან უნდა დაძრულიყვნენ აჯანყებულები თბილისისაკენ?

(1) **38.2.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ ის სოციალური ფენებიც კი, რომელთა ინტერესების დამცველად აცხადებდა საკუთარ თავს არსებული ხელისუფლება?

(1) **38.3.** პოლკოვნიკ ცაგურიას აზრით, რამ მისცა საშუალება საბჭოთა ხელისუფლებას მოესწრო საპასუხო ზომების გატარება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.4.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა სახის სამხედრო ტექნიკა იყო საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში.

(1) **38.5.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ პოლკოვნიკმა ცაგურიამ დასაწყისში გარკვეულ წარმატებას მიაღწია?

(1) **38.6.** თქვენი აზრით, რატომ უწოდებდა მოსკოვი აჯანყებას ავანტიურას?

(2) **38.7.** დოკუმენტის მიხედვით, რას წარმოადგენდა „ერთიანი ლიგა“ და თქვენი აზრით, რა იყო მისი საბოლოო მიზანი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზების შემდეგ?

(2) **38.8.** პოლკოვნიკ ცაგურიას აზრით, რა უნდა გაეკეთებინათ აჯანყებულებს უპირველესად და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** დოკუმენტის მიხედვით დაასახელეთ ორი მიზეზი, რომელთა გამოც პოლკოვნიკმა ცაგურიამ აღარ გააგრძელა ბრძოლა ვაზიანის სამხედრო ბაზის ასაღებად.

(2) **38.10.** ვის პოლიტიკას ადარებს პოლკოვნიკი ცაგურია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და რაში გამოიხატებოდა ეს მსგავსება?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე